სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

შპს გრანდი

წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელი სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ზონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი,

შპს გრანდი
წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერი

რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ძირითადი საშუალებების ღირებულება

კომპანიამ მოახდინა შენობების, საწარმოო აღჭურვილობის და სატრანსპორტო საშუალებების შეფასება სამართლიანი ღირებულებით 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ ფასს-ზე გადასვლის თარიღით. კომპანიამ გამოიყენა ფასს 1 -ის მიხედვით დაშვებული გამონაკლისი და აღიარა სამართლიანი ღირებულება როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება. აღნიშნული განხორციელდა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ კომპანიამ ვერ მოიძია აღნიშნული ძირითადი საშუალებების ღირებულების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია.

5. სტანდარტები, რომელიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ მოცემულია სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ არ არის ჯერ ძალაში შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნების თარიღისთვის. კომპანია აპირებს, სადაც შესაძლებელია, აღნიშნულ სტანდარტებზე გადასვლას, როდესაც მოხდება მათი ძალაში შესვლა.

ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებებიდან.

ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებელთან დადებული კონტრაქტებიდან“ (გამოცემული 2014 წლის მაისში) ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა ადრეული მიღებაც ნებადართულია. ფასს 15 განსაზღვრავს შემოსავლის აღიარების პრინციპებს და გამოყენებული იქნება ყველა ხელშეკრულებაზე მომხმარებელთან. მიუხედავად ამისა, საპროცენტო და საკომისიო განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტების ნაწილს შეადგენენ კვლავ ფასს 15-ის მოქმედების სფეროს გარეთ დარჩება და დარეგულირდება სხვა შესაბამისი სტანდარტით. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება იმ თანხით, რომლის მიღებასაც პირი მოელის, მომხმარებლისთვის მომსახურების ან პროდუქციის მიწოდების სანაცვლოდ. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს სრული შენიშვნების მოთხოვნებს, როგორც შემოსავლის ბუნების, საზღვრების და დროსთან დაკავშირებით, ასევე შემოსავლის და შესაბამისი მისაღები ფულადი სახსრების ნაკადთან არსებულ გაურკვევლობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ახალი შემოსავლის სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასსის მიერ ყველა მიმდინარე შემოსავლის აღიარების მოთხოვნებს. ფასს 15-ზე გადასვლა უნდა მოხდეს ან სრული რეტროსპექტიული, ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით. ამჟამად, კომპანია ფასს 15-ზე გადასვლის მოსალოდნელი გავლენის შეფასების პროცესშია.

შპს გრანდი წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერი

ქვემოთ მოცემულია სხვა სტანდარტები და მათი ინტერპრეტაციები, რომლებიც გაცემულია მაგრამ ჯერ არარის ეფექტური და არ არის მოსალოდნელი, რომ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე, რაიმე მატერიალურ გავლენას მოახდენს.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას). სტანდარტი აერთიანებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვის სამივე ასპექტს - კლასიფიკაციისა და გაზომვის, გაუფასურების და ჰეჯირებას. ფასს 9 ძალაში შევა 2018 წლის პირველ იანვარიდან, თუმცა მისი გამოყენება ნებადართულია ადრეულ პერიოდზეც, ჰეჯირების გარდა, მოითხოვება რეტროსპექტიული მიღება, შესაძარბელი ინფორმაციის წარმოსადგენად არ არის სავალდებულო. ჰეჯირებასთან დაკავშირებული სტანდარტის მოთხოვნები, მცირე გამონაკლისის გარდა, ზოგადად აისახება პროსპექტიულად.

ფასს 16 ლიზინგი

ფასს 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს 17 - ლიზინგი, ფასიკ 4 - განსაზღვრა შეიცავს თუ არა გარიგება ლიზინგს, იმკ 15 - საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და იმკ 27 - გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.

ფასს 16 სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ფასს 16-ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი სტანდარტის (ბასს 17-ის) მიდგომისგან. ლიზინგის დაწყებიდან, მოიჯარე აღიარებს სალიზინგო გადახდების შესაბამის ვალდებულებას (ე.წ. სალიზინგო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი აქტივის ლიზინგის პერიოდის განმავლობაში გამოყენების უფლებას (ე.წ. გამოყენების უფლების მქონე აქტივი).

ფასს 16 ასევე მოითხოვს მოიჯარეებისგან და მეიჯარეებისგან უფრო სრული ინფორმაციის გამჟღავნებას, ვიდრე ამას მოითხოვდა ბასს 17. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ადრეული მიღება ნებადართულია, თუმცა არა მანამ, სანამ კომპანია არ მიიღებს ასევე ფასს 15-ს. კომპანიას შეუძლია აირჩიოს, რომ გადავიდეს სტანდარტზე სრული რეტროსპექტიული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით.

6. ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასა და გამჟღავნებაში ახალი და კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები

მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია მის შესაბამის წინა წლის პოლიტიკასთან, გარდა შემდეგი ცვლილებებისა, რომლებიც ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ სააღრიცხვო პერიოდისთვის:

წლიური გაუმჯობესება 2014-2016 წლები:

- ▶ ფასს 1- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება
- ▶ ბასს 28 - ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში
- ▶ ფასიკ 22 - ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად
- ▶ ფასიკ 23 - გაურკვევლობა მოგების გადასახადთან დაკავშირებით.
- ▶ ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები-ს მიღება ფასს 4 -სადაზღვევო ხელშეკრულებებთან ერთად.
- ▶

ახალ ინტერპრეტაციებსა და სტანდარტის განახლებებს არ ქონიათ მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შემოსავალზე.

შპს გრანდი
 წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერი

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
მზა საქონელი -ტკბილეული	565,767	683,899	485,334
სულ მარაგები	565, 767	683, 899	485, 334

2019 წლის განმავლობაში 3,626,884 ლარი აღიარებულ იქნა, როგორც წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით აღრიცხული სასაქონლო მატერიალური მარაგების ხარჯი,. ხოლო 2019 წლის განმავლობაში 3,214,722 ლარი. ორივე თანხა აღიარებულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	1-იან-2019
ფული ბანკში	1,289	1,003	11,238
ფული სალაროში	13,797	30,6694	1,666
სულ ფული და ფულის ექვივალენტური	15,086	31,697	12,904

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-2020	31-იან-2019	1-იან-2019
სავაჭრო მოთხოვნები	2,039,794	1,857,062	1,515,996
სხვა მოთხოვნები			51,200
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი			(12,740)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,039,794	1,857,062	1,554,456

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	1-იან-2019
სავაჭრო ვალდებულებები	740,372	1 021,198	806,058
სახელფასო ვალდებულებები	-	428	560
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება			54,270
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	740,372	1 021,626	860,888

კომპანიას ყავს სამი ძირითადი მომწოდებელი (იმპორტიორი): LLC Nefis, THE LORENZ BAHLSEN SNAK WORLD GMBH და LLC Marketpro; მათ მიმართ ჯამური დავალიანება შეადგენს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 641,931 ლარს ხოლო 2020 31 დეკემბრის მდგომარეობით 601 446 ლარი

შპს გრანდი
წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერი

ზემოთხსენებული ვალდებულებების პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და ჩვეულებრივ იფარება ყოველთვიურად, ფინანსური წლის განმავლობაში.
- სახელფასო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და ჩვეულებრივ იფარება 30 დღის ვადაში,

11. შემოსავალი

შემოსავალი	2020	2019
შემოსავალი	5,113,742	5,465,407
უკან დაბრუნებული პროდუქცია	(295,957)	(115,800)
სხვა შემოსავალი		
სულ შემოსავალი	4,817,785	5,349,607

12. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები	2020	2019
ხელფასები	406,962	628,084
მარკეტინგის ხარჯი	628,825	586,038
საწვავის ხარჯი	97,026	122,037
უიმედო ვალების რეზერვი	-	-
სარემონტო ხარჯები	33,208	31,110
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯი	35,330	36,717
ოფისის მომსახურების ხარჯი	40,811	73,044
საგადასახადო ხარჯი	1,705	1,729
სხვა ხარჯი	79,885	48,095
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	1,323,752	1,526,854

13. სესხები

კომპანიას სესხები აღებული აქვს სს პროგრედიტ ბანკისგან და დამფუძნებლებისგან.

შპს გრანდი წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერი

ფიზიკური პირისაგან აღებულ სესხზე დარიცხული წლიური პროცენტის გამოთვლა ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, 2019 წლის საპროცენტო ხარჯმა ფ/პ აღებულ სესხზე შეადგინა 136,801 ლარი, ხოლო პროგრედიტ ბანკისგან აღებულ სესხებზე - 51 054 ლარი. 2020 წელს ფ/პ აღებულ სესხის საპროცენტო ხარჯია 135 677 ლარი ხოლო ბანკისგან აღებულ სესხზე 94106 ლარი.

** საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთი 2019 წლისთვის საშუალოდ არის 7,15%, ხოლო 2020 წლისთვის 6.6 %.*

14. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოგების გადასახადის ნაწილში. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, მათთვის ეს კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვარიდან. ახალი რეგლამენტის მიხედვით, მოგების გადასახადით დაიბეგრება მოგების ის ნაწილი, რომელიც გაიცემა დივიდენდის სახით აქციონერებზე/მფლობელებზე, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. გაცემულ დივიდენდზე დასაბეგრი მოგების გადასახადის ოდენობა განისაზღვრება როგორც გაცემული თანხის 15/85. კომპანიები შეძლებენ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან გაცემულ დივიდენდზე დარიცხული მოგების გადასახადის გაქვითვას, აღნიშნულ პერიოდში არსებული რეგულაციების მიხედვით გადახდილი მოგების გადასახადის შესაბამისად. დივიდენდები გაცემული საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს შორის არ დაიბეგრება.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად დაბეგვრას დაექვემდებარება გარკვეული ტიპის გარიგებებიც, რომლებიც ჩაითვლება მოგების დისტრიბუციად. მაგალითად. ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასებში, არაეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა სცდება ბასს 12 სამშემოსავლო გადასახადების ფარგლებს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება, როგორც საოპერაციო გადასახადები

15. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

სამართალწარმოება. საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულიად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

შპს გრანდი
წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერი

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასევე არსებობს შესაბამისი რეზერვი).

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: ნოლი).

16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საკრედიტო რისკი კომპანია იღებს საკრედიტო რისკს, რაც საფრთხეს წარმოადგენს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს მეორე მხარისთვის ფინანსური დანაკარგს, რომელიც არღვევს ვალდებულებას. საკრედიტო რისკის წარმოქმნის შედეგად წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის საკრედიტო პირობების გაყიდვები და სხვა ოპერაციები, რომლებიც უკავშირდებიან ფინანსურ აქტივებს.

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

შპს გრანდი
წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერი

საპროცენტო განაკვეთის რისკი საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფულადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე სახის დერივატივს საპროცენტო რისკის მართვის მიზნით. ამავ დროს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებული განაკვეთით არის, რის გამოც აღნიშნული რისკი შეზღუდულია.

ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 31 დეკემბრის 2020 და 2019 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

კაპიტალის მართვა. კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ.

	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	მიმდინარე ღირებულება	მიმდინარე ღირებულება	მიმდინარე ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	15,086	15,086	31,697	31,697
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,039,794	2,039,794	1,857,062	1,857,062
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები				

შპს გრანდი
წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერი

	740,372	740,372	1 021,626	1 021,626
სესხები	876,734	876,734	2,565,779	2,565,779

18. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

გარიგებები ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის		1-იანვარი-19	
ბალანსი			
	ურთიერთობა	დაკავშირებულ ი მხარეები	დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო ვალდებულებები			(7,511)
შპს ნოვა გრუპი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები		(7,511)
სესხები		2,027,782	1,993,960
ივანე ჭყონია	სხვა დაკავშირებული მხარე	2 027 782	996,980
ზვიად ჯიქია	დამფუძნებელი		996,980
გადასახადელი პროცენტები		86,594	16,445
ივანე ჭყონია	სხვა დაკავშირებული მხარე	86,594	8,590
ზვიად ჯიქია	დამფუძნებელი	-	7,855
მოგება-ზარალი			
	ურთიერთობა	დაკავშირებული მხარეების გადარიცხვები	

შპს გრანდი
წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერი

19. საანგარიშო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი გარიგებები არ გამოვლენილა.